ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3143535

ნომერი: AR1484579

თარიღი : 08.03.2017

გაცემის თარიღი : 15.03.2017

გაცნობის თარიღი : 15.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იური კობერიძე პ/ნ 35001108305
- თბილისი ლეხ კაჩინსკის ქ. N 1 ბლოკი ა ბ. 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის

24.03.09წ. N57 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად, რეკონსტრუქციის სახეობებს განეკუთვნება დაკავებულობის შეცვლა III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში. ამავე ცვლილების შესაბამისად, დაკავებულობა არის შენობა-ნაგებობის ან მისი ოთახის, ან სივრცის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხის განმსაზღვრელი ცნება. განგიმარტავთ, რომ თუ III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებზე I კლასის სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია შენობის ან მისი ნაწილის ფუნქციის ცვლილების ფარგლებში, დაკავებულობის შეცვლის შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. N57 დადგენილების შესაბამისად, საჭირო იქნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მიხედვით დამუშავებული რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ვინაიდან ანტრესოლის მოწყობით იცვლება დაკავებულობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს და შესაბამისად დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.